# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, როგორც ცვლილების ინიციატორები სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში**



**განხორციელების ვადა:** 15.01.2020 - 30.09.2022

**EaP ქვეყნები:**
მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი

**ევროკავშირის წვლილი:** € 1 647 010

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 1 647 010

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
People in Need

**პროექტის აღწერა:**

პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, როგორც ცვლილების ინიციატორები სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში“ მიზანია ახლად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო ჯგუფების, სამოქალაქო ინიციატივების, ასევე სოციალური და კულტურული მოძრაობის წარმომადგენლების, როგორც სანდო მამოძრავებელი ძალის მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიულ პროცესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და მოლდოვის რესპუბლიკაში.

პროექტის გუნდის და გამოცდილი ფასილიტატორების მხარდაჭერით, თითოეული შერჩეული ორგანიზაცია შეიმუშავებს საკუთარ სტრატეგიას, რომელშიც განსაზღვრავს საკუთარ გზას და როლს საზოგადოებაში, და დაგეგმავს სისტემურ ცვლილებას, რომელზეც გავლენა უნდა მოახდინოს. მონაწილეები შეაფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და მიიღებენ მონაწილეობას სპეციალურ ტრენინგებში, კონსულტაციებში, იმუშავებენ მენტორების ხელმძღვანელობით და განახორციელებენ სასწავლო ვიზიტებს. გარდა ამისა, ისინი გააძლიერებენ კავშირებს საკუთარ საზოგადოებასთან, მხარდამჭერებთან და მოხალისეებთან, და მონაწილეობას მიიღებენ ქსელურ საქმიანობაში კოლეგებთან და პარტნიორებთან ერთად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და მოლდოვაში.

შერჩეული ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი იქნება რესურსები კვლევის, თემატური გამოცდილების მიღების და პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობისთვის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ისინი გაარკვევენ

**მოსალოდნელი შედეგები:**

– სამიზნე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული პოტენციალის გაძლიერება.
სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებული მონაწილეობა სამოქალაქო აქტივობასა და პოლიტიკურ დიალოგში.
– კავშირების და ჩართულობის გაუმჯობესება როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს შორის, ისე კერძო სექტორთან.